№ 111
ხუთშაბათი, 25 მაისი, 1900 წ.

ბაზეთის ფასი:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 111
ხუთშაბათი, 25 მაისი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 27 მაისს.

## სახალხო სეირნობა საქველმოქმედო ბაზრითურთ

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ მიერ განზრახული სახალხო სეირნობა საქველ-მოქმედო ბაზრითურთ გაიმართება მუშტაიდის ბაღში, 28 და 29 მაისს. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულ ჭავჭავაძესთან, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21.

ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული და ფაქტიურად იმის კანტროლის ქვეშ მყოფი

## საზოგადოება,

რომელსაც მსურველნი იაფ-ფასად მიჰყავს 1900 წლის პარიჟის მსოფლიო გამოფენის სანახავად.

ამხანაგობას განსაკუთრებული საკუთარი სასტუმრო აქვს (Grand Hotel du Trocadero), სადაც მგზავრები ამხანაგობის ხარჯით სცხოვრობენ. ფასი: პირველ რიგის მგზავრთათვის ორი კვირა—200 მანეთი, ერთი კვირა—110 მანეთი; მეორე რიგის მგზავრთათვის ორი კვირა—150 მანეთი, ერთიკვირა—80 მანეთი. მგზავრი დაათვალიერებს გამოფენას და შესანიშნავ ადგილებს. კარგი მოწყობილება და სრული თავისუფლება დროს განაწილებისა.

ჩაწერა და დაწვრილებით ცნობების მიღება შეიძლება პეტერბურგის დამზღვევ საზოგადოების მთავარ-აგენტთან ბ. გ. კრასნიანსკისთან. ტფილისი, ბარიატინსკის ქუჩა, № 8.

მასწავლებლებს, მოსწავლეებს და სამხედროებს ნაკლებად. გამოფენაზედ წასვლა და უკან დაბრუნება იმათთვის ეღირება 100 მანეთად და უფრო ძვირად. (5—ნ.—4)

წლიური საზოგადო კრება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წევრთა დანიშნულია 28 მაისისათვის, დილის თერთმეტ საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში.

განსახილველად შემდეგი საგნები:

1. წლიური ანგარიში საზოგადოების გამგეობის მოქმედებისა 1899 წელს.
2. მოხსენება სარევიზიო კომისიისა წლიურის ანგარიშის შემოწმების შესახებ.
3. სავარაუდო აღრიცხვა შემოსავალ-გასავლისა 1900 წლისათვის.
4. არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა. (3—უ.—3)

## მალოროსსები

საზაფხულო თეატრი და ბაღი.

ხუთშაბათს, 25 მაისს,

მალოროსსთა დასის მიერ,

მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატრიცას ალექსანდრა თეოდორეს ასულის დაბადების დღის დღესასწაულისა გამო წარმოდგენის დაწყებისას მთელი დასი და ორკესტრი შეასრულებს საერო ჰიმნს „ღმერთო ჰფარვიდე მეფესა“,

წარმოდგენილი იქნება

ცნობილი პიესა

„პომსტა აბო ზაგუბლენა დოლია“

დრამა 4 მოქმ., სუხოდოლსკისა.

უმთავრესს როლს ავტორი შეასრულებს.

რეჟისორი ა. ლ. სუხოდოლსკი

მზადდება წარმოსადგენად პირველად: „ხმარა“, დრამა 5 მოქ., ა. ლ. სუხოდოლსკისა და „სოროჩინსკი იარმარკა“ კომ. ოპერა 4 მოქ., სტარიცკისა. ამ პიესებისთვის ახალი დეკორაცია და ტანისამოსია მომზადებული.

დირექტრისა ა. ა. ორლიკი.

(1—ნ.—1)

## ბორჯომში

დასრულდა ახალი შენობა ცენტრალურ სასტუმროსათვის. სასტუმრო 15 თიბათვიდგან

გაიხსნება.

იგი რემერტოვის პარკთანაა, 25 ოთახს შეიცავს და მშვენივრად არის მოწყობილი. შეიძლება სასტუმრო იჯარითაც გაიცეს. (4—116—2)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე.—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი—9—10 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი, კბილის სნეულებანი, 10—2—მდის.

მ. ა. პოკროვსკი—შინაგანი, ბავშვებისა, ბავშვებისათვის ყვავილის აცრა და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 12—1 საათ.

მ. ლ. მარკევიჩი—12½—1½ საათ. სადოსტაქრო.

ი. დ. გეგთაგეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

საღამოთი:

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი—5—6 სასაათ.

ი. ნ. თუჟანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი—4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგანიშვილისა, № 21 (კარანტოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი მიხეილ გედევანიშვილი

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ა. ნ. შპაკოვსკი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. ქარაპეტიანცი 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

# ფელეტონი

### მოლოდინი

(გუი დე-მოპასანისა)

სადილს შემდეგ მამაკაცებმა თამბაქოს საწევ ოთახში მოიყარეს თავი. როდესაც ლაპარაკი მოულოდნელ მემკვიდრეობასა და არა-ჩვეულებრივ მემკვიდრეებზედ ჩამოვარდა, ლებრიუმანი, გამოჩენილი მეცნიერი და ცნობილი ვექილი, ფეხზედ წამოდგა და ზურგით ბუხარს მიებჯინა.

— მე მომანდეს, — დაიწყო ლებრიუმანმა, — ერთის მემკვიდრის მოძებნა, რომელიც განსაკუთრებულ გარემოებისა გამო უკვალოდ დაიკარგა. ეს ამბავი სულ უბრალო, ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ ამასთან იგი ცხოვრების ისეთი ულმობელი დრამაა, რომლის მაგვარს მეორეს არ შევხვედრივარ... აი ეხლავე გიამბობთ.

„ნახევარის წლის წინად ერთ მომაკვდავთან დამიბარეს. ოთახში შესვლისათანავე მომაკვდავმა მანდილოსანმა შემდეგის სიტყვებით მომმართა:

„— მე მინდა ერთი საქმე მოგანდოთ, თავ-სატეხი და ამასთან ისეთი საქმე, რომელიც დიდ დროს მოითხოვს... გთხოვთ გადაათვალიეროთ ჩემი ანდერძის ქაღალდი, აგერა მაგიდაზედა სძევს... ანდერძით ხუთი ათასი ფრანკი დაგინიშნეთ, თუ ვერ აასრულებთ იმას, რასაც დაგავალებთ, ხოლო თუ აასრულეთ, მაშინ ასიათასს ფრანკს მიიღებთ... როდესაც მოვკვდები, ჩემი შვილი უნდა იპოვნოთ.

„ავადმყოფმა მთხოვა მეშველნა და ბალიშზედ მიმესვენებინა, რომ უფრო თავისუფლად ელაპარაკნა: სისუსტე მალ-მალე აწყვეტინებდა სიტყვას...

„მე მეტად მდიდარს სახლში ვცხოვრობდი. ბრწყინვალე ოთახს, თუმცა უბრალოდ, მაგრამ კარგად მორთულს, კედლებზედ სქელი ქსოვილი ჰქონდა გაკრული, ისეთი ქსოვილი, რომელიც თვალს იტაცებდა და ისეთს მყუდროებასა და სიჩუმეს ჰფენდა მთელს ოთახს, რომ წარმოთქმული სიტყვები იკარგებოდა, ჰქრებოდა იმისს ნაოჭებში.

„მომაკვდავმა ხელ-ახლა დაიწყო:

„— თქვენ ერთად-ერთი კაცი ხართ, რომელსაც ვუამბობ ამ სამწუხარო მოთხრობას... ვეცდები, საკმაო ძალა მოვიკრიბო, რომ ბოლომდე გიამბოთ... საჭიროა იცოდეთ ყოველივე, უმნიშვნელო წვრილმანიც-კი. ვიმეორებ, საჭიროა ეს თქვენთვის, კეთილის გულისა და ამასთან ხალხსა და საზოგადოებაში გამოსულ კაცისათვის, რომელსაც გულ-წრფელად გინდათ დამეხმაროთ... მაშ, მომისმინეთ...

„გათხოვებამდე მიყვარდა ახალგაზდა კაცი, რომელსაც დედ-მამამ უარი შეუთვალა და არ მიმათხოვა მხოლოდ იმიტომ, რომ საკმაო ქონების პატრონი არ იყო... ცოტა ხანს შემდეგ მივთხოვდი მეტად მდიდარს კაცს. მივთხოვდი იმისთვის, რომ არ ვიცნობდი ცხოვრებას, ამასთან შიში და მორიდება მქონდა დედ მამისა და არც ამ გვარ საქმის დიდს მნიშვნელობასა ვგრძნობდი. ერთის სიტყვით, გავთხოვდი ისე, როგორც სხვა ახალგაზდა ქალები თხოვდებიან. ქმრისაგან მეყოლა ბავშვი, ვაჟი... რამდენისამე წლის შემდეგ ჩემი ქმარი გარდაიცვალა...

„ვინც მე მიყვარდა, იმან სხვა შეირთო... გაიგო-რა ჩემი დაქვრივება, საშინელს დარდსა და მწუხარებას მიეცა: სწუხდა, რომ თავისუფლება დაჰკარგა... როდესაც მნახა, ისეთი ტირილი და ქვითინი ამოუშვა, რომ გული მომიკვდა... შემდეგ იგი ჩემი მეგობარი გახდა... ვინ იცის, იქნება სჯობდა, რომ არ მიმეღო? მაგრამ განსაჯეთ: მარტო ვიყავ, მარტოდ-მარტო, დადარდიანებული, თითქმის სასოწარკვეთილებამდე მისული!.. და მიყვარდა კიდეც. ოჰ, რა ტანჯვას გამოივლის ხოლმე ზოგჯერ კაცი!

„ჩემი ნუგეში ის-ღა იყო ამ ქვეყანაზედ; მახლობელნი გარდამეცვალნენ... იგი ყოველ დღე მოდიოდა, მთელ საათებს ატარებდა ჩემს გვერდით... რასაკვირველია, უნდა მოვრიდებოდი, ხშირად არ შევხვედროდი, რაკი ვუწყოდი, რომ ცოლიანი იყო... მაგრამ ღონე არ შემწევდა, იმდენი ძალა ვერ მომეკრიბა, რომ უარი მეთქვა...

„რაღა უნდა გიამბოთ?.. ის კაცი ჩემი საყვარელი გახდა... როგორ მოხდა ეს? რა ვიცი!.. განა ასეთ შემთხვევაში თავს ანგარიშს აძლევს ვინმე?.. ან-კი შეიძლება საქმე სხვანაირად გათავდეს, როდესაც ორ კაცს აახლოვებს ყველაფრის დამძლეველი ერთმანერთის სიყვარული?..

„მითხარით გულ-ახდით, შეიძლება განა ყოველთვის გამაგრდე, მუდამ უარი სთქვა, როდესაც თვალ-ცრემლიანი, დაჩოქილი გვედრება ის, რომელსაც აღმერთებ და გინდა თავი შესწირო, რომლის მცირე სურვილიც-კი გინდა შესრულებული იყოს და რომლის გაბედნიერებაც მხოლოდ შენ შეგიძლიან? ხელი ჰკრა ასეთ კაცს მარტო იმ შიშით, რომ ასეთი ქცევა საზოგადოებაში წესად მიჩნეული არ არისო! რა თავისს განწირვის ძალ-ღონით და ამავე დროს რა თავისთავის სიყვარულით უნდა იყოს კაცი აღსავსე, რომ ბედნიერებაზედ ხელი აიღოს!.. მართალს არ ვამბობ?

„ბოლოს დავმორჩილდი და დიდად ბედნიერიც ვიყავი!.. დიაღ, ამ ბედნიერებამ სწორედ თორმეტს წელიწადს გასტანა!.. ვეცადე დავმეგობრებოდი იმის ცოლს, აი ეს, სწორედ ეს იყო ჩემის მხრივ უდიდესი საზიზღრობა და დანაშაული...

„ყველანი ერთად ვზრუნავდით ბავშვის აღზრდისათვის, რათა იგი გამოგვეყვანა ნამდვილ ადამიანად, განათლებულ, გონიერ, მტკიცე ხასიათისა და კეთილშობილ აზრ-შეხედულობის კაცად... ასე იზრდებოდა ბავშვი ჩვიდმეტ წლამდე...

„ამ ბავშვს, ჩემ შვილს, უყვარდა ჩემი... ჩემი საყვარელი ისევე, როგორც მე მიყვარდა, რადგანაც ორივენი ერთ-ნაირად ვზრუნავდით მისდა აღსაზრდელად... ბავშვი მუდამ „კეთილ მეგობარს“ ეძახდა და დიდის პატივის-ცემით ეპყრობოდა, სამაგიე-

სადამოობით:

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7½—8 საათ.

**ვ. მ. მახვილაძე**—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

**Первая частная лѣчебница** ***Д-ра Навасардіана.***

**Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.**

# ახალი ამბავი

*** მკითხველებს ეხსომებათ, უთუოდ, რომ 10 ამა მაისს ტფილისის სამოსამართლო პალატის მე-2 სამოქალაქო დეპარტამენტმა განიხილა თავ. ი. ზ. ბარათაშვილისა და ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის საქმე და განაჩენის გამოცხადება ამ საქმის გამო 24 მაისისათვის გადასდო. თავ. ბარათაშვილი ბანკის გამგეობას უჩიოდა, რომ დირექტორად მე უნდა მივეწვიეთ, ვითარცა კანდიდატი, და თავ. ვახვახიშვილი-კი მიიწვიესო, და თხოულობდა, ჩემი მოთხოვნილება კანონიერად სცანით და მე—მისაწვევ კანდიდატადაო. ოლქის სასამართლომ ეს დავა საფუძვლიანად სცნო და დაადგინა, რომ იგი უნდა ყოფილიყო მიწვეული დირექტორის თანამდებობის ასრულებლადაო. გუშინ, 24 მაისს გამოცხადებულ განაჩენით, პალატამ გააუქმა ოლქის სასამართლოს გადაწყვეტილება და დავაზედ უარი გამოუცხადა მომჩივანს. ამასთან პალატამ საქმის წარმოების ხარჯის გადახდაც თავ. ბარათაშვილს დააკისრა.

*** რადგანაც გორის მაზრაში შარშან დასეტყვილ მამულების პატრონთ თხოვნაზედ ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის ზედამხედველს კომიტეტს ჯერ დღემდის პასუხი არ მიუცია—აპირებს თუ არა დაზარალებულთ რაიმე დახმარება აღმოუჩინოს, ამისათვის აღნიშნულ მემამულეებს განმეორებით მიუმართავთ ახლა კომიტეტისათვის, თუ რამე დახმარებას გვაძლევთ, დროზედ გვაცნობეთ, რადგანაც აგერ არის თიბათვეში ბანკში დაგირავებულ მამულების შეუტანელ გარდასახადის წარუდგენლობისა გამო საჯარო ვაჭრობა დანიშნული და შეიძლება მარტო ამ შარშანდელ ზარალის გამო ძალიან ბევრი მამული გაიყიდოსო.

*** დღეს, 25 მაისს, დანიშნულია სხდომა ქალაქის საბჭოს იმ საგანგებო კომისიისა, რომელსაც საქართველოს რუსეთთან შეერთების დღიდგან ასის წლის შესრულების გამო იუბილეის გარდახდა აქვს დავალებული. კომისიას ორი საგანი აქვს გადასაწყვეტი: ამ დღის სამახსოვროდ დააარსოს საპოლიტეხნიკო მუზეუმი, თუ უმაღლესი სასწავლებელი. ამ სხდომაზედ კომისიის არა-წევრნიც იქმნებიან მიწვეულნი, მაგალითად: გენერალ-ლეიტენანტი ზელენოი, ინჟენერი ბ-ნი ნოვომეისკი, თავ. ი. ჭავჭავაძე, ა. ი. მანთაშევი, თავ. ვ. მიქელაძე, ა. ა. იოანისიანი და სხვანი.

*** თანახმად სახელმწიფო საბჭოს 15 მაისის გარდაწყვეტილებისა, ამიერიდგან სამელიორაციო კრედიტის ოპერაციები გაფართოებულიც იქნება და სამეურნეო საჭიროებათათვის სესხის აღებაც გაადვილებული.

*** გუშინ, 24 მაისს, ქალაქის გამგეობის სადგომში სხდომა ჰქონდა საბჭოს კომისიისა და გამგეობის შეერთებულს კრებულს, რომელსაც უნდა განეხილა ინჟენერ ალიბეგოვისა და ბ-ნ ყორღანოვის განცხადება ავჭალის ცხენის რკინის გზის ბელგიის უსახელო საზოგადოებისათვის გადაცემის შესახებ. კრებამ ვერ დაასრულა ამ საქმის განხილვა და სხდომა პარასკევს, 26 მაისისათვის გადასდო.

*** როგორც სიღნაღიდგან გვწერენ, სოფ. ქვემო-მაჩხაანსა, ზემო-მაჩხაანსა, მელაანსა და სხ. სოფლებში ამ თვის 18—21-მდე რამდენჯერმე მოსულა სეტყვა და ვენახები ძლიერ დაუზარალებია.

*** გზათა სამინისტროში ამ ჟამად ფრიად საყურადღებო პროექტი ირჩევა იმის შესახებ, რომ რკინის გზაზედ მომუშავეთა და მოხელეთა ჯაფის შესამსუბუქებლად საქონლის მატარებელთა მიმოსვლა კვირა-უქმე დღეებში შემცირებულ იქმნას.

*** მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის განკარგულებით, ტფილისის გუბერნიის მეცნიერულად გ-მოსაკვლევად კავკასიის სამთო სამმართველოს გეოლოგი ბ-ნი სიმონოვიჩი იქმნა დანიშნული.

*** როგორც ქალაქის საქიმიო ლაბორატორიაში მომხდარმა გამოკვლევამ აღმოაჩინა, სპარსულს ლიმონის საგრილობელს სასმელს ფერს ანელინის საღებავით (შხამიანია) თურმე უკეთებენ, რომელიც სამკურნალო დეპარტამენტის სწავლულთა კომიტეტის მიერ ჯანმრთელობის მავნებლად არის ცნობილი. როდესაც ამ სასმელებით მოვაჭრეებს დაეკითხნენ, თუ ასეთს მავნე საღებავს რადა ხმარობთო, მათ თურმე უპასუხეს, რომ ჩვენ მაგ ვნების შესახებ არა ვიცოდით-რა და საღებავს-კი ტფილისის აფთექებიდგანა და სააფთიაქო მაღაზიებიდგან ვიძენდითო. მისცა-რა სამართალში აღნიშნული ვაჭარნი, სამკურნალო სასანიტარო საბჭომ დაადგინა, ამ დღიდგან აფთიაქებისა და სააფთიაქო მაღაზიების პატრონებსაც აეკრძალოთ, ეს საღებავები საზაფხულო საგრილობელ სასმელების ვაჭრებს აღარ მიჰყიდონ ხოლმე.

*** 1901 წელს პეტერბურგში გაიმართება მთელის რუსეთის შინა-მრეწველობის გამოფენა, რომლის მოსაწყობადაც არჩეულ იქმნება საგანგებო კომისია გეოგრაფიულ საზოგადოების პრეზიდენტის მოადგილის სემენოვის თავმჯდომარეობით. ამავე დროს მოხდება კრება შინა მრეწველობის მოღვაწეთა.

ურიგო არ იქმნება, ჩვენი სამეურნეო საზოგადოება ახლავე შეუდგეს მეცადინეობას, რომ ჩვენის ქვეყნის მეტად მდიდარმა შინა-მრეწველობამ მომავალს გამოფენაში საპატიო და შესაფერი მონაწილეობა მიიღოს.

*** რადგანაც ტფილისის ქალაქის მოურავმა ხმოსანს ა. ს. ბაბოვს გამგეობის საქმის-მწარმოებლის ბ-ნის ბეკის შესახებ ის პასუხი მისცა, რომ გამგეობაში დაქირავებულ მსახურთა დათხოვნის უფლება მაქვს და ამის გამო ბეკის შესახებ საბჭოში საჩივრის შეტანას ალარავითარი აზრი არა აქვსო, ბაბოვს ახლა საბჭოში წარუდგენია შემდეგი საკითხი: აქვს თუ არა უფლება ქალაქის მოურავს ხმოსანთა განცხადება საბჭოს არ წარუდგინოს განსახილველად, როდესაც ასეთი განცხადება ქალაქის მოურავის უკანონო მოქმედებასა და განკარგულებას შესახებაო.

*** იმპერატრიცა მარიამის დაწესებულებათა ინსტიტუტებში მოსწავლე ქალების უქმეებში დათხოვნა ამ ჟამად აი, რა ნაირად არის შეცვლილი: შობისა და ახალწლისათვის ამის შემდეგ უთუოდ ქრისტიშობისთვის 22-დგან იქმნებიან დათხოვნილი, ვიდრე იანვრის 7-მდე; სააღდგომოდ—ვნების კვირის დიდ-ორშაბათიდგან კვირაცხოვლობის ორშაბათამდის. დანარჩენს დროს ინსტიტუტთა საბჭოებს ნება ეძლევათ ყოველ საგანგებო შემთხვევაში დაითხოვონ ხოლმე მოსწავლე ქალები, როგორც ყველანი, ისე თითოეულის კლასისა ცალკე, თუ-კი ამას გარემოება საჭიროდ დაანახვებს. გარდა ამისა სასწავლებლის უფროსს ქალს ნება აქვს მოწაფე ქალნი ცალკე თავისითაც გაანთავისუფლოს ხოლმე.

*** ამ ჟამად მიხეილის ქუჩაზედ, საზაფხულო თეატრში წარმოდგენებსა ჰმართავს რუს-მალოროსიელთა არტისტთა დასი, რომლის წარმოდგენებსაც ხალხი ძალიან ეტანება. სამშაბათს ამ დასმა წარმოადგინა ხუთმოქმედებიანი დრამა „Наймычка“, რომელშიაც უმთავრესს როლებს ასრულებდნენ ქ-ნი დიკოვისა და ბ-ნი სუხოდოლსკი. წარმოდგენამ საერთოდ დიდად მწყობრად ჩაიარა და ასიამოვნა დამსწრე საზოგადოება. ყველა არტისტები, უმთავრესიდგან დაწყებული უმცირესამდე, ისეთის ხელ-შეწყობით ასრულებდნენ თავიანთ როლებს, რომ აღტაცებაში მოდიოდა მაყურებელ-მსმენელი.

*** სადგურ გომიდგან ვაზ. „კავკას“-ს ატყობინებენ, რომ ამ სადგურის მახლობლად მდებარე სოფლებში—წრომსა და ახალ-სოფელში 17 მაისს დიდი სეტყვა მოვიდაო. სეტყვას დაუზარალებია ნათესი. სეტყვა მოსულა აგრეთვე კინწვისსა, ზღუდერსა და მცირედ კეხი-ჯვარშიაც. კინწვისი უფრო ნიადვრებს დაუზარალებია, ვიდრე სეტყვას.

*** როგორც გაზ. „Тифл. Л.“-ს ატყობინებენ, თელავის მაზრაში ვენახებს რაღაც უცნაური ჭია გასჩენია, რომელიც დიდ ზარალს თურმე აძლევს.

*** ტფილისის მაზრის სოფ. გიორგი-წმინდასა და მის მახლობლად მდებარე სოფლებში გაჩენილ საქონლის ჭირის წინააღმდეგ საბრძოლველად ტფილისიდგან საგუბერნიო ბეითალი მაკაროვი იქმნა გაგზავნილი.

*** როგორც „ცნ. ფურც.“-ს გაუგონია, ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას გარდაუწყვეტნია მომავალ სეზონში 100 ან 150 მანეთით შემწეობა მისცეს ტფილისის სახალხო კითხვათა კომისიას ქართულ სახალხო წარმოდგენათა საჭიროებათათვის.

*** ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსი ბ-ნი ლინდენი, რომელმაც სპარსეთის შაჰი გააცილა კავკასიამდე უკვე ტფილისში დაბრუნდა.

*** ამიერ-კავკასიის მუფტის ჰუსეინეფენდი გაიბოვისათვის მისს უდიდებულესობას სპარსეთის შაჰს „ლომისა და მზის“ მე-2 ხარისხის ორდენი უბოძებია.

---

როდ „იმისგან“ ესმოდა მხოლოდ კეთილ-გონიერი დარიგებანი და ჰხედავდა მაგალითს პირდაპირობისა, პატიოსნებისა და სამართლიანობისას.. ბავშვი იმას თავისს დედის ძველ გულითა მეგობრადა სთვლიდა, მეორე მამად, აღმზრდელად, მზრუნველად... არ ვიცი რად... იქნება ამის შესახებ არაოდესაც არ დაფიქრებულა, რადგან ბავშვობიდგანვე ამ კაცს სახლში ჰხედავდა, ხან ჩემთან, ხან კიდევ ჩემს მახლობლად, მუდამ ჩვენთვის ზრუნვასა და მეცადინეობაში...

„ერთხელ სამივეს ერთად უნდა გვესადილა... ჩემთვის ასეთი დღეები ნეტარება იყო ხოლმე... არც ერთი არ იყო შინ... სახლში მარტო ვიყავი... ვიჯექ და ვფიქრობდი იმათზედ: მინდოდა გამომეცნო, რომელი უფრო ადრე მოვიდოდა...

„კარები გაიღო და ჩემი ძველი მეგობარი შემოვიდა... ხელებ-გაშლილი მივეგებე, გადავეხვიე და ხანგრძლივ კოცნას, ნაზსა და ტკბილს კოცნას, მივეცი თავი...

„უეცრად შრიალმა, ნელმა ხმაურობამ გამოგვარკვია, გონს მოგვიყვანა... ჟანი, ჩემი შვილი, ძალზედ გაწითლებული, კარებში იდგა და გვიყურებდა...

„ამ წუთს ჩვენ მეტად ბავშვურად ვიქცეოდით.. როგორც ლოცვავედრებისთვის, ხელები გავიშვირე და ბავშვისკენ წავედი... ამის შემდეგ აღარ მინახავს: სადღაც გაჰქრა ჩემი შვილი!..

„ოთახში ორნი დავრჩით... დარეტიანებულთ, გონება-დაბნეულთ, ლაპარაკის უნარიც-კი აღარა გვქონდა... სავარძელზედ დავეშვი... საოცარმა სურვილმა მოიცვა მთელი ჩემი არსება,—მინდოდა გავქცეულიყავ, დავმალულიყავ, დავკარგულიყავ სამუდამოდ... ცრემლებმა თვალიდგან ნაკადულსავით გადმოჰხეთქა, ვტიროდი დაკოდილის გულით, ვგრძნობდი დანაშაულობის გაუსწორებლობას, სირცხვილით ვიწვოდი, სირცხვილით, რომელიც ასეთ წუთს ჰკლავს და ანადგურებს დედის გულს...

„ის... შემკრთალი, ჩემს წინ იდგა; ვერა ჰბედავდი მოახლოვებასა, ხმის ამოღებასა და გამოლაპარაკებას... ბოლოს სთქვა:

„—უნდა ვიპოვნოთ... ვუთხრათ... გავაგებინოთ... ავუხსნათ... დეე იცოდეს ყოველივე...

„და ოთახიდგან გავიდა.

„ლოდინად გადავიქეცი... ველოდი გონება-დაბნეული, შიშით მოცული... ველოდი და თან ვკანკალებდი, ვკანკალებდი მცირე ხმაურობისა და ბუხარში ცეცხლის ტკაცანის დროსაც-კი...

„ველოდე საათს, ორ საათს, ვგრძნობდი, გულში დაბუდებული, გამოურკვეველი შიში როგორ მეზრდებოდა. ის შიში იმდენად მტანჯველი და სულ-გულის მღრღნელი იყო, რომ იმის გამოცდას საღრჩობელასათვის განმზადებულ დამნაშავესაც-კი არ ვუსურვებ.

„—სად არის ჩემი ბავშვი?.. რა მოუვიდა?.. ვეკითხებოდი ჩემს თავს.

„შუაღამისას კაცმა ბარათი მომიტანა ჩემის მეგობრისაგან. დღემდე ზეპირად მახსოვს შინაარსი ამ ბარათისა:

„დაბრუნდა თუ არა თქვენი შვილი?—მეკითხებოდა. ვერსად ვიპოვნე. ძირს ველი პასუხს. არ მინდა, ასეთ წუთს ზევით ამოვიდე“.

„პასუხი იმავე ბარათზე დავწერე ყარანდაშით:

„ჟანი არ დაბრუნებულა. უეჭველათ უნდა მოსძებნოთ და ნახოთ“.

„მთელი ღამე სავარძელში გავათენე.

„ჰკუიდგან ვიშლებოდი... მინდოდა მეღრიალნა, მეყვირა, მერბინა, მაგრამ სავარძლიდგან მაინც არ წამომდგარვარ, არც-კი შევნძრეულვარ: ვიჯექი და ველოდი... რა მოხდება!. ვცდილობდი გამეგო, შემეტყო, ძალღონეს ვიკრებდი, სულიერ ჯანჯვას ვიორკეცებდი, მაგრამ შედეგი მაინც ვერ წარმომედგინა...

„ეხლა იმათის შეხვედრისაც მეშინოდა... როგორ უნდა შევხვდეთ-მეთქი ერთმანეთს?..—ვფიქრობდი. რას იზამს ჩემი ბავშვი?.. ეჭვი, არა ჩვეულებრივი ეჭვი ათასის ფიქრით მივსებდა თავს...

„თქვენ ხომ კარგად გესმით ყოველივე ეს?

„მოახლე ქალი, რომელმაც არა უწყოდა-რა, ყოველ-წუთს შემოდიოდა ჩემთან. გაკვირვებული მიყურებდა, უთუოდ სულით ავადმყოფად მთვლიდა... სიტყვით ან ხელის ნიშნებით უკანვე ვისტუმრებდი... ბოლოს ქალი მკურნალთან წავიდა.

„ლოგინში დამაწვინეს... უკვე ტვინის ანთება ამვარდნოდა.

„როდესაც, საშინელ ავადმყოფობის შემდეგ გონს მოვედი, ლოგინის წინ დავინახე ჩემი... საყვარელი... მარტოდ-მარტო... საოცარის ხმით დავუყვირე:

„ჩემი შვილი!.. სად არის ჩემი შვილი?..“

„პასუხი არ მომცა.

„— მოკვდა?.. მოკვდა?.. სიცოცხლე მოისპო?..

„— არა, არა, გეფიცებით!.. მაგრამ ვერსად-კი ვერ ვნახე, თუმცა ბევრს ვეცადე...

„ამ დროს საშინელმა ბრაზმა ამიტაცა, სიძულილიც-კა ვიგრძენი ჩემის ძველის მეგობრის მიმართ, და წამოვიძახე:

„— გიკრძალავთ ჩემთან შემოსვლას, ჩემს ნახვას იმ დრომდე, ვიდრე ბავშვს არ მიპოვნით!.. წადით!..

„წავიდა და მას შემდეგ აღარსად. აღარასოდეს აღარ მინახავს არც ერთი და არც მეორე. ასე გავატარე მთელი ოცი წელი ადი!..

„შეგიძლიანთ განა მიჰხვდეთ ამ დამღუპველ ქენჯვნას, დედის გულის ამ განუწყვეტელ ტანჯვას; ტანჯვას დაუსრულებელის მოლოდინისაგან აღძრულს... არა, ეხლა უნდა დასრულდეს ეს ტანჯვა, რადგანაც ვკვდები... ვკვდები ისე, რომ ვერა ვნახე ვერც შვილი და ვერც ის... მეორე!

„ის, ჩემი მეგობარი, მთელის ოცის წლის განმავლობაში ყოველდღე მწერდა, მაგრამ მე... მე არ მინდოდა იმისი ნახვა ერთის წუთითაც-კი... ვფიქრობდი: მხოლოდ მაშინ შეუძლიან იმას მოსვლა, რო-

*** როგორც ახლა გამოანგარიშებიდგან სჩანს, მარტო იმ სახლის პატრონს, სადაც სასტუმრო „ორიანტაა“ მოთავსებული, მარიმანოვს მოჰსვლია ცეცხლის გაჩენის გამო 25,000 მან. ზარალი. თითონ სასტუმროს პატრონის ბ-ნის ფერანსიუროს რამდენი ზარალი მოუვიდა, ჯერ არ არის ცნობილი.

*** გუშინ-წინ, 23 მაისს, ქალაქის საუსპოში ნიხრის დამწესებელ კომისიის მიერ დაკლულ იქმნა 18 მსხვილი საქონელი. როგორც აღმოჩნდა, ახლა გირვანქა ხორცი უხარჯოდ ჯდება $7^1/_2$ კაპ. იმედია, ტფილისის გამგეობა ახლა ნიხრს შესაფერად შესცვლის.

*** ს. ნაგომარი (გურია). 7 მაისს ნაშუადღევს 2 საათზე, ადგილობრივ სკოლის დარბაზში მოხდა პირველი საზოგადო კრება ნაგომარ-აკეთის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობისა, რომელსაც თავმჯდომარეობდა მღ. დ. ჩხაიძე. კრების დაწყებისთანავე, თავმჯდომარის ნება დართვით, ბ-ნმა გეგელაშვილმა, დამსწრე საზოგადოებას კრცლად განუმარტა რა ამხანაგობის დანიშნულება, ასე დააბოლავა თავისი სიტყვა: „ეს ისეთი თანასაგრძნობელი დაწესებულებაა, რომელშიაც, გაურჩევლად წოდებისა და სქესისა, ყველას ნება აქვს წევრად შესვლისა. ვეცადოთ, რომ ეს ნორჩი ამხანაგობა კარგს პირობებში იქმნას ჩაყენებული, ხოლო მისი ბედ-იღბალი დამყარებულია გამგეობისა და საბჭოს წევრებზე, ამიტომ საჭიროა რიგიანი კაცები ავირჩიოთ“.

შემდეგ, კენჭის ყრით გამგეობის წევრებად არჩეულ იქმნენ: ნ. გეგელაშვილი, გრ. გუგუნავა და ი. ანდღულაძე, ხოლო საბჭოს წევრებად: დ. ჩხაიძე, მღ. ლ. წულაძე, აზ. ჯ. ბაყუნაშვილი, აზ. დ. გოგიბერიძე, ა. მელიქა და არ. ხუხუნაიშვილი. საღამოს 6 საათზე კრება დასრულდა. ამხანაგობამ წარმოება უკვე დაიწყო. ჯერ-ჯერობით წევრთა რიცხვი ავიდა 60-მდე. საწევრო ფული შემოსულია 800 მ. მეტი, ხოლო შესანახავად კი—200 მ.

*** ფოთი. კვირას, 21 მაისს, კლუბის დარბაზში, ქ-ნ ანასტასია კოტეტიშვილის თაოსნობით, ადგილობრივ სამრევლო სკოლის სასარგებლოდ, სცენის მოყვარე ქალ-ვაჟთა მიერ გამართულ იქმნა ქართული წარმოდგენა და კონცერტი. პირველად წარმოადგინეს ვოდევილი „ჩათრევას ჩაყოლა სჯობია“. წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდნენ: ქ-ნნი ე. კლდიაშვილისა, ა. კოტეტიშვილისა, ან. გუგუშვილისა და ბ-ნნი გ. ახობაძე. ყველას როლების შესწავლა ეტყობოდა. პიესამ მხიარულად ჩაიარა. კერძოდ ამ საღამოს საზოგადოების ყურადღება მიიქცია თავის მოხდენილის თამაშით მაშოს (ქვრივის) როლის შემსრულებელმა ქ. კლდიაშვილისამ, რომელიც პირველად გამოვიდა სცენაზედ. შემდეგ გაიმართა კონცერტი ბ. ა. მეგრელიძის ლოტბარობით. სცენაზედ გამოვიდა ქალ-ვაჟთა მომღერალთა გუნდი, რომელმაც ლამაზად შეასრულა სხვა-და სხვა ქართული სიმღერა. კარგად შეასრულეს: „ჩუხჩუხით ჩამორბოდა“, „აღსდგა გმირთ გმირო“ და „შევსვათ, ხელადით ღვინო“. საზოგადოებას ძლიერ მოეწონა და რამდენჯერმე გაამეორებინა. ლოტბარს ბ. მეგრელიძეს საჩუქრად ვერცხლის სათუთუნე მიართვეს. საღამოს საზოგადოება ბლომად დაესწრო და ყველა ნასიამოვნები დაბრუნდა სახლში. ვისურვებთ, რომ ჩვენმა ყმაწვილმა კაცებმა და ქალებმა შრომა არ დაიზოგონ და შემდეგშიც გამართონ ასეთი წარმოდგენა და კონცერტი.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ს. მარტვილი.** მარტვილიდგან სამის ვერსის მანძილზე გაშენებულია სოფელი ხუნწი, სადაც 7—8 მაისს საშწუხარო ამბავი მოხდა. დიდის წვიმების შემდეგ, როგორც ამბობენ, მიწის ძვრისაგან დაიქცა რამდენიმე ოჯახი, მაგრამ მათ შორის დიდად დაზარალებულია სამი თუ ოთხი, განსაკუთრებით-კი ერთის ქვრივის დედაკაცის ეზო თავისის შენობებით. საჟენ ნახევარზედ წასულა ძირს მიწა და სახლიც თან ჩაუტანია. სახლში მდგომ ადამიანებს წინა დღით უგრძნიათ, უბედურება მოგველისო, და მოუსწრიათ გაქცევა. ეხლა ეს საწყალი ქვრივი დედაკაცი თავისის ობლებით უპატრონოდ ხის ძირს არის თავშეფარებული. საზოგადოდ მთელი ეს სოფელი საშიშს მდგომარეობაშია. მცხოვრებლებმა არ იციან, საით გაიქცნენ. ჰფიქრობენ, თუ კიდევ განმეორდა ასეთი შემთხვევა, სულ დავიქცევით და დავიღუპებითო. ადგილობრივი პოლიცია, შეტყობისათანავე, მივიდა მისაშველებლად, მაგრამ მარტო ის რას უშველის. საჭიროა, ვისგანაც ჯერ არს, მცოდნე კაცებს გამოგზავნიდეს, რათა შეამოწმონ—შეიძლება აქ ცხოვრება უშიშრად თუ არა, და აგრეთვე საზოგადოება შეიბრალებდეს იმ ქვრივ დედაკაცს, რომელსაც ეზო და სახლ-კარი დაექცა და თავისის ობლებით ნახევარ-ჯერ მშიერი ხის ქვეშ არის თავშეფარებული. ვისაც ჰსურს კეთილი საქმე მოიმოქმედოს, ვთხოვთ შემოწირულება გამოჰგზავნონ შემდეგის ადრესით: Хони—Мартвили. Марвильскому участковому приставу г ну Дгебуадзе.

მღვდელი რაჟდენ ქალაგანიძე

## რუსეთი

ამ ახლო ხანებში პარიჟის მსოფლიო გამოფენისათვის დაიბეჭდა სტატისტიკური აღწერილობა რუსეთის გზათა მდგომარეობისა. როგორც ამ აღწერილობიდგან სჩანს, რკინის გზების სიგრძე 1892 წელს იყო რუსეთში 30,625 ვერსი, 1900 წლისთვის კი შეიქმნა 51,432 ვერსი. ლოკომოტივთა რიცხვი 1898 წ. იყო 9553, სამგზავრო ვაგონებისა—11,977 და საქონლისა—223,860. რკინის გზების გაკეთებას მოუნდა თურმე 3,958 მილიონი მანეთი. მგზავრთა რიცხვი რკინის გზებზე 1892 წელს უოფილა 38,8 მილიონი, 1897 წელს კი—74,7 მილიონი; საქონელი გადაუზიდავთ 1892 წელს 2,754 მილიონი ფუთი, 1897 წელს-კი—6,819 მილიონი ფუთი. შემოსავალი რკინის გზებს ჰქონია 1871 წ. 121,3 მილიონი მანეთი, 1897 წელს კი—473,4 მილიონი მანეთი, წმინდა შემოსავალი 1871 წ. უოფილა 45,2 მილიონი მანეთი, 1897 წელს კი—179,3 მილ. მან. წმინდა შემოსავალი მხოლოდ საქონლის მატარებლებიდგამ რჩება, მგზავრთა მატარებლებს კი რუსეთშიაც და საზღვარგარეთაც ზარალი მოაქვს.

## უცხოეთი

**ინგლისი.** გაზეთების სიტყვით, ინგლისის პარლამენტი ჩქარა იქმნება დათხოვნილი და ახალი არჩევანები მოხდება. ამ საგნის შესახებ ოფიციალურად არა გამოცხადებულა-რა. პირიქით, როგორც ამბობენ, ლორდ სალისბიურს და ბალფურს ვითომც კიდევაც ჰსურდეთ, რომ ეხლანდელი პარლამენტის დახმარებით განაგრძონ ქვეყნის მართვა-გამგეობა მიმდინარე წლის დამლევამდის, მაგრამ ახალი არჩევნები რომ ან ივლისში მოხდება და ან ოქტომბერში, რასაც უნიონისტები და ლიბერალები არიან მოწადინებული, საეჭვოდ არავის მიაჩნია. ახალ არჩევნების დაჩქარებას ყველაზედ უფრო მოწადინებული უოფილა ახალშენთა მინისტრი ჩემბერლენი, ის დარწმუნებულია თურმე, რომ ეხლა თუ მოხდა არჩევნები, მთავრობის მომხრეებს გამოჰგზავნის ხალხი პარლამენტში, რადგან სამხრეთ-აფრიკაში გამარჯვებით მთელი ერის გული მოინადირა სამინისტრომა. აი რას ამბობს გაზეთი „Times“-ი ამ საგნის შესახებ:

„ივლისში არჩევნების დანიშვნის საბუთად ის მოჰყავთ, რომ როცა ლორდი რობერტსი პრეტორიას აიღებს, ხალხის აღტაცება უმაღლეს წერტილამდის მიაღწევს, მთავრობის ქება-დიდებას საზღვარი აღარ ექნება და, ცხადია, ეხლანდელი სამინისტრო გამოიყენებს ამ საუკეთესო დროს, რათა 5—6 წლის განმავლობაში ისევ მის ხელთ იყვეს ქვეყნის პატრონობა. მეორეს მხრივ, გამოცდილი კაცები ამტკიცებენ, რომ მთავრობას უფლება ექმნება მაშინ უფრო მომეტებულის გაბედულობით და თავმომწონეთ მოითხოვოს ერისაგან ნდობა, როცა ბურებთან ომს გაათავებს, ტრანსვაალში დროებით მართველობას დანიშნავს და საბოლოოდ გამოარკვევს, თუ რა წესითა და რიგით უნდა განაგოს ინგლისმა სამხრეთ აფრიკის საქმეებიო. რაც შეეხება კერძოდ ხალხის აღტაცებას, რომელიც, შესაძლოა, დროებით ჩაჰქრეს, ამაზედ იმას ამბობენ, რომ როცა ძლევა მოსილი ჯარები აფრიკიდგან ინგლისში დაბრუნდებიან, რაიცა, უთუოდ, ოქტომბერში უნდა მოხდეს, ხალხის სიხარულს სწორედ მაშინ აღარ ექმნება საზღვარი და არჩევნებიც მაშინ უნდა მოხდეს, მთავრობას თუ ჰსურს, რომ მისი გამარჯვება უოველსავე ეჭვს გარეშე იყვესო“.

## სასამართლოს მატიანე

4 წლის ბავშვის ტანჯვა-წვალება.

ორშაბათს, 22 მაისს, ტფილისის ოლქის სასამართლოს სესიამ ქ. გორში განიხილა საყურადღებო საქმე სადგურ სკრის უფროსის თანაშემწის—ფ. ი. მირანოვიჩისა, რომელსაც ჰბრალდებოდა თავისის უჯვნოროდ შობილ შვილის—ოთხის წლის ლეონიდის, ტანჯვა-წვალება. აი, დაწვრილებით ეს საქმე:

ბ-ნი მირანოვიჩი შარშან, ოქტომბერში, გადმოიყვანეს სკრის სადგურის უფროსის თანაშემწედ. თან მირანოვიჩმა მოიყვანა თავისი შვილი. იგი სცხოვრობდა სადგურის შენობაში, სატელეგრაფო განყოფილების გვერდით, სადაც დღითა და ღამით მუშაობენ მორიგე მოხელენი, რომელნიც მოწმენი არიან იმისა, თუ როგორის აუწერელ ტანჯვა-წვალების მსხვერპლი შეიქმნა მამისაგან შვილი. საბრალო ბავშვს, მაგალითად ბ-ნი მირონოვიჩი ხან თოკით სცემდა, ხან ღამით წამოაყენებდა და ძალად ათამაშებდა; თუ ბავშვი მეტის დაღლილობისაგან წაიქცეოდა იატაკზე, მამა დაავლებდა ხელს, დასვამდა სკამზე და ქვაბიდგან სპირტით ცეცხლს შეუნთებდა. საბრალო ბავშვს მოსწყვა ცალი ყური, ძალად ამოაძრო კბილი და წაგლიჯა თითი. არავინ ბავშვის მშველელ-პატრონი არ გამოჩნდა, სანამ ერთმა ქალმა არ მიაქცია ამ გარემოებას ყურადღება და ჟანდარმს არ შეატყობინა. შემდეგ საქმის გამოძიებას შეუდგნენ, და ბ-ნი მირანოვიჩი დააპატიმრეს.

ეს საქმე სესიამ განიხილა 22 მაისს. საქმის გარჩევას ბევრი ხალხი დაესწრო. მეტად საყურადღებო იყო პატარა ტანჯულის ჩვენება საქმის გარჩევის დროს. ოლქის სასამართლომ დამნაშავედ იცნო მამა და გადაუწყვიტა სამუდამოდ ტობოლის გუბერნიაში გადასახლება. პატარა ლეონიდი გორის რკინის გზის სადგურის უფროსმა აიყვანა აღსაზრდელად.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამას წინად ამერიკაში გარდაიცვალა ერთი მდიდარი ინჟენერი—პეტნამი. სიკვდილის წინად პეტნამმა ანდერძი დაამზადა, მაგრამ ეს ანდერძი ქაღალდზედ კი არ დასწერა, როგორც ჩვეულებრივ მიღებულია, არამედ ამისთვის ფონოგრაფით ისარგებლა. პეტნამმა იყიდა ფონოგრაფი, მიიწვია ვექილი, ნატარიუსი, ჩასძახა ფონოგრაფში ის, რის ანდერძად დატოვებაც უნდოდა, მერე ცილინდრს შემდეგი სიტყვები წააწერა: „ეს არის ჩემი უკანასკნელი სურვილიო“, და გადასცა მემკვიდრეებს. ამ რიგად მემკვიდრეები წაკითხვის ნაცვლად, ანდერძის სიტყვებს ფონოგრაფით გაიგონებენ.

***

ყველაზედ ხნიერი მკურნალი მთელ დედამიწის ზურგზედ ამ ჟამად ნიუ-იორკში სცხოვრობს. ეს მკურნალი—ჩარლზ სმიტი—124 წლის კაცია. 50 წელიწადია, რაც სმიტი ქალაქ ნიუ-იორკის მკურნალია. სმიტი ვეგეტარიანია, ხორცს სულ არა სჭამს და არც მაგარ სასმელებს ჰსვამს. სმიტი ჯერ კიდევ კარგად არის და იმედი აქვს, ერთ ოცს წელიწადს კიდევ ვიცოცხლებო.

## გამოსადეგი ცნობა

ჩინელები თევზს როგორ ინახავენ.

ყველამ კარგად იცის, რომ ზოგიერთს თევზები მთელს ზამთარს ქვიშაში ატარებენ უმოძრაოდ. აი, ჩინელებმაც ამ გარემოებით ისარგებლეს და სულ უბრალო საშუალება გამოიგონეს თევზის დიდხანს ცოცხლად შესანახად. ცოცხალს თევზს უნდა გარს სველი ქონ-შერეული თიხა შემოაკრათ სქლად და ასე ჩასდოთ საყინულეში. ამ რიგად შენახული თევზი რამდენსამე თვესა სძლებს და შემდეგ ნელ-ნელა ისევ ცოცხლდება, თითქოს სძინებიაო. თევზს, როცა უნდათ, თიხიდგან ამოიღებენ, წყალში უშვებენ და თევზი ნელ-ნელა გამოცოცხლდება.

ეს საშუალება ჩინეთში მეტად არის გავრცელებული, და თევზის მოყვარულთა ოჯახში ხშირად საყინულეებს ამგვარად ცოცხლად შენახულ თევზებით სავსესა ჰნახავთ. როდესაც პატრონი მოისურვებს, თევზი საყინულედგან წყალში გადაჰყავს, იქა ცოცხლდება და სამუდამოდ სიკვდილის შესაგებებლად სამზარეულოში უგრავენ ხოლმე თავსა. ვურჩევთ, თუ ვინმე მოისურვებს და გარემოებაც ხელს შეუწყობს, ეს საშუალება სცადოს.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

23 მაისი.

**ტაგანროგი.** 22 მაისს, დილით, აქ შაჰი მოვიდა. რკინის გზის სადგურზედ საუზმე იყო გამართული.

**ლონდონი.** მარიბოგოდგან მოსულ ცნობებითა სჩანს, რომ პოლკოვნიკი მეგონი გენტერის ჯარს შეერთებია.

**ტიან ძინი** „დიდის მუშტის“ ბრბო აქედგან ოთხის მილის მანძილზედა სდგას. ელიან, რომ ქალაქს თავს დაესხმიანო, მაგრამ მათდა მოსაგერებლადაც ყოველივე სამზადისი გათავებულია. მკვიდრნი მშვიდობიანად არიან. საფრანგეთის ელჩი იუწყება, რომ ბელგიის თერთმეტი ხუროთ მოძღვარი არსადა სჩანს, მაგრამ იმედი აქვთ, რომ ხუთი გადაარჩინონ დალუპვასაო.

**რომი.** არჩევანების შემდეგ უწინდელი უმრავლესობა უფრო გაძლიერდა; უმწვერვალეს მემარცხენეთ 20 ახალი ადგილი მოიპოვეს.

**ლონდონი.** ოფიციალური ამბავი. პრეტორია ინგლისელების ხელშია.

---

...დესაც ჩემი შვილი დაბრუნდება-მეთქი...

„ჩემი შვილი!.. ჩემი ბავშვი!.. გარდაიცვალა, თუ ჯერ კიდევ ცოცხალია?.. სად არის?.. იქნება იქ, თვალ-გადუწვდენელ ზღვებს იქით, შორეულს ქვეყანაშია სადმე, ისეთ ქვეყანაში, რომლის სახელიც-კი არ გამიგონია... ვახსოვარ თუ არა?.. ოჰ, რომ იცოდეს, ჰგრძნობდეს, ზოგჯერ შვილები როგორ სასტიკად ექცევიან დედებს.. მიჰხვდება-კი, რა ტანჯვაში ჩამაგდო, რა სასოწარკვეთილებას მიმცა, როგორ ცოცხლად დამმარხა მაშინ ჯერ კიდევ არა ხნიერი ადამიანი, დამმარხა უკანასკნელ დღემდე... მე, თავისი დედა, რომელსაც შვილი უსაზღვროდ, თავ-დავიწყებით მიყვარდა?.. მითხარით, განა ეს შეუბრალებლობა არ არის?..

„გადაეცით ჩემ შვილს, მოწყალეო ხელმწიფევ, ყველა ის, რაც გაიგონეთ, და გაუმეორეთ ჩემი უკანასკნელი სიტყვებიც: „ჩემო ბავშვო... ჩემო ძვირფასო ბავშვო, ნუ მოექცევი ასე სასტიკად უბედურ ქმნილებათ... ცხოვრება უამისოდაც ულმობელი და სასტიკია! დაფიქრდი. ჩემო ძვირფასო ბავშვო, რა ყოფა იყო დედიშენის ყოფა იმ დღიდგან, რა დღესაც თავი მიანებე... ძვირფასო ბავშვო, აპატიე და შეიყვარე ეხლა მაინც, როდესაც გარდაიცვალა. იმან არა ჩვეულებრივი ჯანჯვა და წვალება გამოიარა!..“

„ავადმყოფს ლაპარაკი უძნელდებოდა, კანკალებდა, თითქოს შვილთან დგას და პირადად იმას ელაპარაკებაო...

„—გადაეცით კიდევ,—დაუმატა: რომ მე აღარასოდეს აღარ მინახავს ის... მეორე...

„ხელ-ახლა გაჩუმდა, შემდეგ ჩამქრალის ხმით წაიჩურჩულა:

„—ეხლა, გთხოვთ, თავი დამანებოთ... ის ორნი ჩემს გვერდით არ არიან, ამიტომ მინდა ისე განვშორდე წუთი-სოფელს, რომ არავინ იყოს აქ...“

— გამოვედი, ბატონებო,—დაამთავრა ლე-ბრიუმანმა,—ძალზედ აღელვებული. ვტიროდი, ისე ვტიროდი, რომ გზაზედ შეეტლე მალმალე გადმომხედავდა ხოლმე... დაუფიქრდით ეხლა, ყოველდღე რამდენი ასეთი დრამა ხდება ხოლმე!.. ბევრი ვეცადე, მაგრამ პოვნით მაინც ვერ ვიპოვნე ის... რაც გნებავთ იფიქრეთ, ბატონებო, ჩემზედ, მაგრამ მაინც ვიტყვი, „ის“ დამნაშავე შვილი!..

ი. ა—ძე

**კონსტანტინეპოლი.** სულთანმა მიიწვია ბოლგარიის მთავარი ფერდინანდი. მეორე ბჭობა ჰქონდათ ელჩებს საბერძნეთ-ოსმალეთის საელჩო ხელ-შეკრულობის შესახებ. ელჩები აუწყებენ საბერძნეთის წარმომადგენლებსა და პორტას, რომ ჩვენ ვკისრულობთ სამედიატორო მოსამართლეთა მოვალეობას საბერძნეთის თხოვნითაო. ისინი პორტას საბერძნეთის წარმომადგენელთაგან წარდგენილს „სამახსოვრო ბარათს“ გადასცემენ და წინადადებას მისცემენ, რომ მან, პორტამ, ამ ბარათის შესახებ თავისი აზრი გამოსთქვას.

**პარიჟი.** კაბინეტის თათბირის დროს დელკასსემ გადასცა შინაარსი დეპეშისა ჩინეთის შესახებ. საფრანგეთის ელჩი პეკინში ზრუნავს უცხოქვეყნელთა შესახებ. ადმირალი კურეოლი გემებით ტაკუში შევიდა.

**ლონდონი.** რობერტსი დეპეშით იუწყება: „გათენებისას გაუდექით გზას და მივედით მდინარის იმ ტოტამდე, რომლის ორივე ნაპირიც მტერს ეჭირა. ამხედრებულმა ქვეითა ჯარმა და იომანრებმა განდევნეს ისინი ნაპირიდგან და სდევნეს იმ დრომდე, ვიდრე ბურებმა ყუმბარები არ დაუშინეს. ჩვენი ზარბაზნები მიაშველეს ქვეითა ჯარს და მტერი მალე პოზიციიდგან განდევნილ იქმნა. ბურებმა მოიწადინეს ჩვენის მარცხენა ჯარისთვის მოეარნათ, მაგრამ ამხედრებულმა ქვეითა ჯარმა და იომანრერმა ნება არ მისცეს, რადგანაც ბურები ჩვენ ზურგის ჯარს ავიწროვებდნენ მარცხნით, ამიტომ ჰამილტონი მოვიშველიე. მტერი შემდეგ პრეტორიისაკენ დავწიეთ. ღამემ შეგვაჩერა და ველარ ვსდევნეთ მტერი. გვარდიის ბრიგადა პრეტორიას მახლობლადა სდგას, ამ ქალაქის სამხრეთ სიმაგრის წინ. ფრენჩი და გუტტონი პრეტორიის ჩრდილოეთით სდგანან. ქალაქს იცავს ჩვენის მთავარ ჯარის მარჯვენა ფრთე სადგურ ირენზედ, რომელიც მტერმა დააქცია. იმედი მაქვს, რომ ჩვენი ზარალი მცირეა“.

პრეტორიიდგან იუწყებიან: მადლობა გამოუცხადა რა პრეტორიის მანდილოსნებს დროშის გადაცემისათვის, ბოტამ სთქვა: „ათასობით თავ-გადადებულ ხალხის იმედი უნდა გვქონდეს და ფიქრადაც არ უნდა გავიტაროთ ჩვენის დამოუკიდებლობის უკუ-გდება ანუ უარ-ყოფა“. ბოტამ მოწოდება დაგზავნა, რომლითაც აუქმებს თავისს წინანდელ განკარგულებათ. პრეტორიაში წეს-რიგის დასაცველად კომისიაა დანიშნული.

24 მაისი

**ნოვოჩერკასკი.** სამხედრო მინისტრი ჩამოვიდა აქა.

**პოლტავა.** პალატამ უკვე დაიწყო იმ ადგილების დათვალიერება, რომელსაც ძმ. სკიტსკების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს. გასინჯულ იქმნა აგრეთვე ხიდი, აგარაკი, გზა და ის ადგილი, რომლითაც ვითომ ძმ. სკიტსკები უნდა გაქცეულიყვნენ. პალატამ ჩვენება ჩამოართვა ადგილობრივ მოწმეებს იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაში ჰნახეს გვამი მოკლულისა და ნივთები.

**ხარკოვი.** შაჰი ჩამოვიდა და მოხელენი მიეგებნენ. მისი უდიდებულესობა წავიდა ხარკოვიდგან ხარკოვ-ნიკოლაევის გზით.

**ბუენოს-აირასი.** გამოცხადდა, რომ ჭირი უკვე სრულიად მოისპო.

**ვაშინგტონი.** კებბფი იუწყება ტაკუდგან: „ბრძოლა დაიწყო; ნაპირზედ გადავსხი კიდევ 50 ზღვაოსანი და ზღვის ქვეითა ჯარის ბატალიონი“.

**ლონდონი** პ კინის ელჩი, მის მიერ მიღებულ ცნობათა საფუძველით, საქმეთა ვითარებას საშიშად სთვლის. მოკლულია ერთი მისსიონერი. საქმის ასეთ ვითარებისა გამო პეკინში მყოფმა ევროპის სახელმწიფოთა ელჩებმა გარდასწყვიტეს ალყა შემოარტყან ტიანძინს ევროპის ხომალდებით და ამის შესახებ მთავრობათ ნებართვა სთხოვონ.

**ტიანძინი.** ხუნგტზუს სადგური ცეცხლმა გაანადგურა. ეცადნენ ორი ხიდი დაექციათ. ჩინეთის რაზმის უფროსმა, რომელიც რკინის გზას იცავდა, ცნობა გამოგზავნა, რომ ჯარიდგან 200 კაცი გაიქცა და 50 კაცი ბედის ანაბარად დასტოვესო. რკინის გზის ჩინელი მოხელე-მოსამსახურენიც გარბიან ფენგტაიას დასაცველად გაგზავნილი რაზმი, რომელიც 250 კაცისაგან შესდგებოდა, დილას გაიქცა ლუკოშიაში, როდესაც შეიტყო ხუანგხოში მომხდარი ამბავი.

პეტერბურგის ბირჟა, 23 მაისი.

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| 5% [illegible] მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | 207½ |
| 3½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | — „ | 90¾ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | — „ | — „ | — „ |
| 5% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | — „ |
| 4½% იმავე ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | — „ | 98 | — „ |
| 4½% იმავე საზოგადოებისა. . . | — „ | 90 | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | 307¼ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი | 264½ | — „ | — „ |

## ღია წერილი

ბ-ნთ დიმ. კალანდარიშვილისა და სილ. ჯიბლაძის მიმართ.

ჩვენში ამბობენ, მეზობელს რომ მუცელი ეტკინოს, შენც მუცელზედ ხელი მოისვიო. სწორეთ თქვენდა საჭირ-ბოროტოდ, შემთხვევა მქონდა შარშან გიორგობისთვის 25—26 რიცხვებში ერთად მენახეთ ტფილისში. ის იყო დავბრუნდი საზღვარ-გარეთიდგან, სადაც მეაბრეშუმეთა ამხანაგობის საქმეთა გამო ვიყავი წასული. პირველად შევხვდი იმ დღეებში „კვალის“ 41 ნომერში დაბეჭდილს „ერთი წევრთაგანის“ წერილს ჩემს შესახებ. არ დარჩენილა ცილის წამება და ლანძღვა-გინება, რომელიც მას იქ არ მოეგროვებინოს და ჩემთვის თავს არ მოეხვიოს. წერილი მოკლებულია ყოველს საბუთიანობას, სამაგიეროდ ბრაზ-მორეულია. ავტორი წერილისა, მკითხველის თვალის ასახვევად გაწიწმატებულა მისგანვე მოგონილ ჭორებით. წამ და უწუმ მიწვევს საპასუხოდ და თან დარწმუნებულია, რომ მე პასუხს ვერ მივცემ და მისგან მონაჭორებს ვერ უარვყოფ.

რაკი სიტყვამ მოიტანა, მეც მაშინ ამ წერილის შინაარსსა და ჩემს უდანაშაულობაზედ მოგახსენეთ „შინაური“ ამბები. თან საყვედური დავატანე „კვალის“ რედაქციის მიმართ, რომელსაც ერთი მხარისკენ მიდრეკილებას, უსამართლობას ვწამებდი. ჩემი სურვილი იყო მენახა ბ-ნი ნ. ჟორდანია და ყოველივე ეს მისთვის გადამეცა. თქვენ-კი მირჩიეთ—რაკი ჟორდანიაც სოფელში შეიქნა წასული— დამეწერა სათქმელი რაც მქონდა და „კვალშივე“ გამომექვეყნებინა. მაშინვე მოგახსენეთ, რომ „კვ.“ რედაქცია ჩემს პასუხს არ დასტამბავდა, ხოლო „ივერია“-ში არა ერთხელ მქონდა დასტამბული საქმის ვითარება. თქვენ დაიჭირეთ „კვალი“-ს რედაქციის მხარე, თქვენს სიტყვაზე მეც ავიღე და დავსწერე პასუხი „კვალში“ დასასტამბავად. ეს წერილი 30 ნოემბრის თარიღით გაახელით, ბ-ნო დიმიტრი, და თან გთხოვდით, რომ პასუხი მოგეცათ კერძო წერილით—დაისტამბებოდა თუ არა. ორივესა გთხოვდით „დახმარებას“. თქვენი წერილიც დაუყოვნებლივ მივიღე, რომ რედაქცია დასთანხმდა დასტამბვასო. მე, ცოტა არ იყოს, კიდეც შემრცხვა, რომ წინასწარმეტყველება არ გამიმართლდა, მაგრამ თქვენს გავლენას მივაწერე. მას შემდეგ გავიდა ხუთი თვე. ამ ხნის განმავლობაში არა ერთ გზის შევაწუხე წერილით ბ. კ—შვილი, პირადათაც გნახეთ, და პასუხი ერთი და იგივე იყო: „დაიბეჭდებაო, მხოლოდ სავადო და საჩქარო წერილებმა შეუშალა ხელი რედაქციასო, მაგრამ მაინც დაისტამბებაო“. ხუთის თვის ლოდინის შემდეგ მივმართე ცალკე რედაქციას და ცალკე ბ ნ დიმ. კ—შვილს თხოვნით, რომ განეთავისუფლებინათ ჩემი წერილი უნებურის ტყვეობისაგან, „უკეთუ ამდენს დაპირებას ახლო მომავალშიაც აღსრულება არ მოჰყვებოდა“. წერილი უკანვე მივიღე. ამ ნაირად, ჩემი წინასწარმეტყველება ბოლოს მაინც აღსრულდა: „კვალის“ რედაქციამ თქვენთან სრულიად გამამართლა.

იმავე დროს განმავლობაში, როცა რედაქციამ ჩვენს წერილს ადგილი ვერ უშოვა, იმავე „კვალში“ დასტამბა ორი კორრესპონდენცია ჩვენ წინააღმდეგ: ერთის ავტორი გვსაყვედურობს 1899 წლის მორიგი კრების დაგვიანებას *), ხოლო მეორე მომაკვდინებელ ცოდვად გვითვლის დიდი ჯიხაიშის გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობის საზოგადო კრების შეგონებას, რომ ამ ამხანაგობასაც მეაბრეშუმეებისათვის ისეთივე დახმარება აღმოეჩინა (ფულის შოვნაში თავდებობით), როგორ დახმარებასაც უწევს მეაბრეშუმეთა ამხანაგობას კუხ-გუბის გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობა (ბანკი) და ასეთივე ამხანაგობა ხონისა,

ამნაირად, ჩვენს წერილს „კვალში“ ადგილი არა აქვს, რადგან ჩვენ თავს ვიმართლებთ, სხვებისთვის-კი, ვინც ჩვენ ცილსა გვწამებს,—როცა გნებავთ და რამდენიც გნებავთ,—მზად არის. ამასვე ჰმოწმობს ერთად-ერთი წერილი, რომელიც დაისტამბა „კვალში“ შარშან ჩვენის მხრით. ეს იყო წერილი სარევიზიო კომისიისა. ამ წერილის დასტამბვაზედაც რედაქციამ პირველად ჩვეულებრივი უარი განაცხადა **). დარჩა დაუბეჭდავი პასუხი იმათი, რომელნიც არა ერთგზის იყვნენ გამოწვეულნი იმავე „კვალში“ საპასუხოდ. გავიდა ამის შემდეგ სამი კვირა და ბედმა, სრულიად შემთხვევით, გაუღიმა ამ წერილს.

რედაქციას მიუვიდა წერილი „ერთი წევრთაგანისა“, რომელშიაც მე, მისი ავტორის საკადრისად, გაპოლანძღული ვიყავი. რომ არ დაეკარგა რედაქციას ბედნიერი შემთხვევა ამ წერილის დასტამბვისა და კიდევ მეორე წერილისა, რომელსაც ჰპირდებოდნენ,—აელო და დაებეჭდა „კვალის“ მე-40 ნომერში დაწუნებული წერილი ჩვენი ამხანაგობის სარევიზიო კომისიის შემდეგის შენიშვნით: „როგორც კვალის ფოსტაში იყო გამოცხადებული (№ 37 კვალისა), ჩვენ არ გვსურდა (რატომ არ „გ ს უ რ დ ა თ ბატონებო? მაშ „მეტი და მეტი სინათლე“ მარტო თქვენთვის გნებავთ, რომ თქვენი საკუჭნაო ოთახები გაინათოთ?!) ამ დაგვიანებული პასუხის დასტამბვა, მხოლოდ რადგან ამ კითხვის შესახებ რედაქციამ რამდენიმე (მაინც?) წერილი მიიღო და კიდევ მოელის (!), ამით დარწმუნდა, რომ ეს კითხვა ადგილობრივი მცხოვრებთათვის ფრიად საინტერესო ყოფილაო“, და სხვა და სხვა. შემდეგ მე-41 ნომერში რედაქციამ დასტამბა „წერილი ერთი წევრთაგანისა“ და ხუთი კვირის შემდეგ 46 ნომერში დაპირებული (რედაქცია რომ „მოელოდა“) წერილი ბ-ნ ს. ბახტაძისა—ორივე ჩვენს წინააღმდეგ. ამ ნაირად, სარევიზიო კომისიის პასუხის დაბეჭდვა მე გრთი ორად გადამახ...ევინა; ხოლო ამ წერილების საპასუხო ჩემს წერილს რაც დღე დააყენა, ხომ ნახეთ, ბატონებო? გვპირდებოდა, უპიროულო მოვალეპავით, „დღეს-ხვალ“, „დღეს-ხვალო“, და ბოლოს შეიქმნა „არასოდესო“. ეს კარგი „ოინი“ ჩაიდინა „კვალის“ რედაქციამ: „პოლიტიკურად“ თქვენც გაგისტუმრათ, მეც და თავისი კი გაიტანა: ათასი ცილის წამება თავს მომახვია და „მშვიდობით“ გამიშვა „შინ.“ ბრალი ჯერ განსვენებული გიორგის გარდაცვალებას დასდო, მერე „ახალ-მოსულთან“ პოლემიკას და ბოლოს გამოდგა, რომ „მიზეზ-მიზეზ დოს მარილი დაჰკლებოდა“... თორემ გ. წერეთლის გარდაცვალებას „კვალის“ არც გამოსვლა შეუჩერებია, არც მისთვის, გარდა ერთი-ორი ნომრისა, ახალი მასალა რამ გაუჩენია. რაც შეეხება „ახალ-მოსულთან“ პოლემიკას, სავალალოც ეგ არის და რედაქციის დამახასიათებელიც, რომ მან ეგეც მიზეზად მოიყვანა. რაო? რამ შეარყია მთელად „კვალის“ ქვეყანა? იმან რომ ბ-ნ ნ. ჟ—ნიას სიტყვა გაუსწორეს? არ იკმარე საკუთარი გაზეთი და „ივერიასაც“ დაესესხნენ, არ აკმარეს საკუთარი ცხრა სართულიანი წერილები და პასუხის—პასუხის—პასუხები და ქვეყანა დაიხმარეს!... ჩვენ კი?—ჩვენ ვინა ვგდივართ! რა საჭიროა ჩვენთვის პასუხები და გაზეთები“. ჩვენ, სადღაც, ვიღაც სოფელში გდია და ქურაში ნაცარს „იქექება“, მოდით ახლა თქვენ და იმასაც პასუხები აწერინეთ! კაცი თუ იყოს,—ქვეყანა ქალაქებში მიდის და, —რაღა ის დარჩებოდა სოფელში?!. აი სადამდის შეაშუქა „კვალის“ რედაქციის „მეტმა სინათლმ“!

დიაღ, „კვალის“ რედაქციამ „ოინით“ გამისტუმრა, ბ-ნო დ—რი, და იგივე „ოინია“ ანუ დამთავრებაა მისი, რასაც თქვენის წერილით ის მე „მოწყალებას“ მპირდება: „თუ საზოგადო შინაარსის წერილს დავსწერ მეაბრეშუმეთა ამხანაგობებზე, ანუ საზოგადოდ მეაბრეშუმეობაზე, „დიდის სიამოვნებით“ დამიბეჭდავს „კვალში“. ესღა აკლდა ჩვენს ყინულზედ გაცურებას... „სიდან სადაო—წმიდა საბაო“—სწორედ ის არის!. ჩვენ რა „მოწყალებას“ ვთხოვდით, ესენი რას იძლევიან?!.

დასასრულ, ნება მომეცით ბატონებო, უმორჩილესად გთხოვოთ, პასუხი მომცეთ, რადგან ამ ჩვენს დავაში შემთხვევით მოწმეებად დამესწარით, შემდეგს კითხვებზე: 1) საჭირო იყო, თუ არა, სიმართლის აღსადგენად და კეთილის სახელის დასაცველად, რომლის შებღალვასაც სცდილობდნენ „ერთი წევრთაგანი და ს. ბ—ძე,— პასუხი მიმეცა მათთვის იმავე ორგანოში, რომელშიაც მიწვევდნენ საპასუხოდ? 2) ჩემი პასუხი საქმეს შეეხებოდა და მიგება იყო იმ კითხვებისა, რომლებსაც ისინი მაძლევდნენ, თუ არა? და 3) ამ შემთხვევაში „კვალის“ რედაქციამ ვინ გაამართლა თავისის ყოფაქცევით: მე, თუ თქვენ, ესე იგი მიუდგომლად, სამართლიანად, მოიქცა იგი, როგორც შეეფერებოდა „მეტი სინათლის“ მქადაგებელს, თუ უღალატა ამ თავისს დევიზს, მიემხრო ბნელს და მასვე მისცა ჩემი პასუხიცა და თავისი ამდენი დაპირებაც? *)

ნ. წერეთელი.

*) არ იქმნა ვერ გავაგებინე, რასაკვირველია, ვისაც არ უნდა გაიგოს, რომ მეაბრეშუმეთა ამხანაგობის წესდებით მისი ძველი წელიწადი თავდება თებერვლით და ახალი იწყება მარტით. წელს ამ დროს ამხანაგობას არა ჰქონდა დამთავრებული ოპერაციები წარსულის წლისა და არც ანგარიში იყო შედგენილი. განა „კვალის“ რედაქციამ არ იცის, რომ ანგარიშის შედგენას, ნახევარ მილიონის ალებ მიცემობის გათვალისწინებას დრო უნდა და რომ საზოგადო კრების დანიშვნა იმაზე არ არის დამოკიდებული, თუ როდის გაშრესა და როდის ატალახდება სოფლის გზები? სოფლის გზების გაკეთებას რომ ვუცადოთ, ხომ მის დღეში აღარ დაინიშნება კრება?

ავტ.

**) ნახეთ „კვალის“ ფოსტა მე-37 ნომერში, სადაც რედაქცია სწერს ქუთ. გუბერნიის მეაბრეშუმეთა ამხანაგობის სარევიზიო კომისიას: „არა ერთხელ გამოგვიცხადებია (გაიგონეთ, ხალხო და ჯამაათო!), რომ დაგვიანებულ საპასუხო წერილებს არ ვბეჭდავთო“. საიდგან შემოიღო ეს „წესი“ რედაქციამ ნეტავი, როცა ამას „წესად“ არ იცნობს არც ღვთიური და არც ქვეყნიური კანონები? მაშ, კაცი რომ ბნელეთის ღირსი არ იყოს და შემთხვევით, შეცდომით ძველებურად ჭაში ჩააგდოთ, არ ამოიყვან მას მერმე მაინც, როცა მისს უდანაშაულობას გაიგებთ!? გაუმარჯოს „მეტ-სინათლის“ ახალ მქადაგებლებს და მათს ახალ „წესებს“.

ავტ.

*) ვუბეჭდავთ ამ „ღია წერილს“ ბ-ნს ნ. წერეთელს, მისისავე თხოვნის თანახმად, თუმცა, ჩვენის აზრით, საინტერესო არ არის ამ საგანზედ ბ-ნთ დიმ. კალანდარიშვილისა და სილ. ჯიბლაძეს აზრი. რაო ვითომ ამათ რომ სთქვან, რომ „კვალის“ რედაქცია „სამართლიანად და მიუდგომლად“ მოიქცაო, ეს მართალი იქნება, თუ თვით საქმის ვითარება სხვასა ჰლაღადებს?!. ყოველივე წვლილი ამ საქმისა-კი აშკარასა ჰყოფს, და „სინათლის“ მქადაგებელია „კვალი“ რა როგორ სდევნიან მისნი დევ-გმირნი იმას, ვინც მათს ბანაკს არ ეკუთვნის.

რედ.


## განცხადებანი

### ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ იმის თანადასწრებით ამა წლის 26 მაისს, შუადღის 12 საათზედ, **მოხდება**

### საჯარო ვაჭრობა,

რომელზედაც იჯარით იქმნება გაცემული სახამეებისათვის სადგომების აგების საქმე. ეს სადგომები აგებულ უნდა იქმნას ქალაქის საყასბოს მახლობლად, მე-7 ნაწილში, ნავთლუღს. იჯარა სულ 5700 მანეთისაა.

მსურველთ შეუძლიანთ პირობანი გასინჯონ გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, 9-დგან 3 საათამდე.

(3—6.—3)

### ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ იმის თანადასწრებით ამა წლის 26 მაისს, შუადღის 12 საათზედ, მოხდება

### საჯარო ვაჭრობა,

ქალაქის ქუჩების მოსაკირწყლად 700 ოთხ-კ. საჟ. ქვის მოტანის იჯარით გასაცემად.

მსურველთ შეუძლიანთ პირობანი გასინჯონ გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, 9-დგან 3 საათამდე.

(3—6.—3)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 24-го Мая 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე